№ 52 12 მარტი, კვირა

1866—1878

12 მარტი, კვირა № 52

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

რედაქცია: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირაღოვის სახლში, № 8.

კანტორა რედაქციისა: სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირაღოვის სახლებში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. Გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба".

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

ფასი განცხადებისა: [illegible] ებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. Დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

საქართველო

ახლად-შეძენილი საქართველო *)

(სტატია მეორე და უკანასკნელი)

როგორ უნდა გავიცნოთ ჩვენ ის ოსმალოს ქართველები, რომელნიც დღე-დღეზე უნდა შემოგვიერთდნენ? როგორ უნდა გავაცნოთ ჩვენ იმათ ჩვენი თავი? როგორ უნდა დავუახლოვდეთ და როგორ უნდა დავიახლოვოთ, რომ ჩვენს შორის ნამდვილი ძმობა, ნამდვილი ერთ-გვარ-ტომობა, ერთი მამულის-შვილობა დამყარდეს?

Აი ამ კითხვებზე გვინდა დღეს მოკლე სიტყვის თქვა.

საუკეთესო საშუალება ორი ხალხის ერთმანეთთან დაახლოებისა და გაცნობისა, თუნდაც ეს ხალხები სულ სხვა-და-სხვა გვარ-ტომის შთამომავლობისანი იყვნენ, ის არის, რომ ერთმანეთში ხშირი მისვლა-მოსვლა ჰქონდეთ, ვაჭრული ან სხვა კავშირი იქონიონ ერთმანეთში, ხშირად ხედავდნენ ერთმანეთს. Ამ ნაირად ორი ხალხი ძალა-უნებურად გაიცნობენ ერთმანეთს, ძალა-უნებურად შეიტყობენ—თუ ერთი და მეორე რა ხასიათისანი არიან, რა ჩვეულებანი აქვთ, რა მიწა, რა წყალი, ერთის სიტყვით რა ზნეობითი და მატერიალური ძალა.

ჩვენ, ქართველები, ვაჭარი ხალხი არა ვართ; არ გვიყვარს აგრეთვე ჩვენს ცხვირს იქით სადმე ფეხის გადადგმა; თუ ძალიან დიდი საჭიროება არ მოითხოვს, არა-თუ სადმე უცხო ქვეყანაში არ წავალთ იმ ქვეყნისა და ხალხის გასაცნობად, არამედ ჩვენივე ქვეყნის ერთი მაზრიდამ მეორე მაზრაში გადასვლა გვეძნელება. Აქედამ წარმოსდგება ის გარემოება, რომ ჩვენ, ერთი ქვეყნისა, ერთი მიწისა და ხალხის შვილნი ერთმანეთს თითქმის სრულებით არ ვიცნობთ.

მაშასადამე იმედი არ უნდა გვქონდეს, რომ ამ საშუალობით ჩვენ და ახლად-შემოერთებული ქართველები გავეცნობით ერთმანერთს.

მაგიერად არის მეორე ღონის-ძიება, რომელიც დაგვეხმარება, რომელიც ვალდებულია დაგვეხმაროს ამ შემთხვევაში. Ეს ღონის-ძიება არის ქართული სახალხო შკოლები და ქართული სახალხო ლიტერატურა.

როგორც იწერებიან და ამბობენ, ამ ახლად-შემოერთებულ ოსმალოს (ახლა რუსის) ქართველებს დიდი ხალისი და სურვილი აქვთ სწავლა-განათლებისა; იმათს ნიჭსა და გონების გამჭრიახობას ყველანი აქებენ.

Იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენში აღმოჩნდებიან ისეთი პირები, რომელნიც მიიღებენ მხედველობაში ამ სწავლის ხალისსა, ამ ხალხის გონების გამჭრიახობასა, და სახალხო შკოლების დაარსებით მისცემენ იმათ სწავლის მიღების საშუალებას.

რაღა თქმა უნდა, რომ სწავლა ამ შკოლებში უეჭველად ქართულს ენაზედ უნდა იყოს, რადგან ეს ენა იმათთვის სამშობლო ენაა და ამ ენაზე შეიძლება, პირველ-დაწყებითის მაინც, სწავლის გადაცემა. Უეჭველია, აგრეთვე, რომ მთავრობა ხელს მოუწყობს, მატერიალურად მოეხმარება იმ პირთ, რომელნიც ამ საქმეს შესწირავენ თავს, რომელნიც იქ ხალხის განათლებისათვის იზრუნვენ.

საჭიროდ ვრაცხთ აქვე ვთქვათ, რომ Ოზურგეთისა და Ახალციხის შკოლების გამგებელნი კარგს იქმოდნენ, რომ ამ ახლად-შეერთებულ ქართველების ახალგაზდობას მიიზიდავენ თავიანთ შკოლებში.

Ადგილობრივ შკოლებში ანუ Ოზურგეთისა და Ახალციხის შკოლებში კურს-შესრულებულთ, შეუძლიანთ თუ გზის მაჩვენებელი ეყოლებათ, Ქუთაისის ან Თფილისის საშუალ სასწავლებლებში (გიმნაზიაში) გადმოვიდნენ და აქედამ უმაღლესს სასწავლებლებში წავიდნენ სწავლის შესასრულებლად. Და ამნაირად სახალხო განათლების საქმე იქ მხოლოთ მაშინ დადგება ნახდვილს, ჯეროვან საფუძველზედ, როდესაც ამ ქვეყნისავე შვილები იმდენათ მომზადებულნი და განათლებულნი იქნებიან, რომ თვითონვე დაეხმარებიან თავის ქვეყნის განათლებისა და გონებით წარმატების საქმეს. Მაშინ ჩვენი და იმათი შეერთება და ერთმანეთის გაცნობა და დაახლოება კიდევ უფრო გაადვილებული იქნება.

რაიცა შეეხება სახალხო ლიტერატურის გავრცელებას,—ეს, რასაკვირველია, დროზედ არის დამოკიდებული. Უნდა ამოჩნდნენ ჩვენში ისეთი პირები, რომელთაც შეკრიბონ Აჭარაში, Ქობულეთში, Შავშეთში და სხვა შემოერთებულ მხარეებში იმათი სახალხო პოეზიის ნაწარმოები, იმათი ზღაპრები, ლეგენდები, ისტორიული და სხვ. გადმონაცემები, სახალხო ლექსები და სხვ. და ეს დაეხმიეცემა იმათაც როგორც წერა-კითხვის გავრცელების საშუალება და ჩვენც იმათ გასაცნობად.

Ამ ომის დაწყებამდის შვიდი ეგზემპლიარი ჩვენის გაზეთისა მიდიოდა Აჭარაში და Ქობულეთში იქაურ ბეგებს, და როგორც გვესმოდა, დიდის ხალისით ჰკითხულობდნენ და ტყობულობდნენ ჩვენებურს და უცხო ქვეყნების ახალ ამბებს. Ამას გარდა რამდენჯერმე პატარა-პატარა ქართული წიგნები (სხვათა შორის „Არსენას ლექსი") გაიგზავნი იქ და ამბობენ, ხალხში გავრცელდაო.

რასაკვირველია, რომ შვიდი ეგზემპლიარი გაზეთი და რამდენიმე ასი წიგნი ბევრი არაფერია; მაგრამ ეს გვიჩვენებს, რომ იმათ ხალისი აქვთ ქართული კითხვისა და ჩვენი ყოფა-ცხოვრების გაცნობისა. Დღეს ბეგებსა აქვთ ეს ხალისი, ხვალ ეს შეიძლება ხალხში აღიძრას.

მაგრამ ეს შეიძლება მხოლოთ მაშინ, როდესაც ჩვენ ამ საქმეს წრფელის გულითა და ენერგიულად მოვინდომებთ.

საუბედუროთ, ამისთანა პირები ჩვენში დღეს სანთლით საძებნელნი არიან, მაგრამ იმედი უნდა გვქონდეს, რომ რაც დღეს არა გვაქვს, ვინც დღეს არა გვყავს, იმას ხვალ შევიძენთ.

მხოლოთ ამ იმედით, მხოლოთ იმიტომ რომ ჩვენ შევიძლებთ ახლად-შეძენილ საქართველოში ქართველობის აღდგენას გვიხარიან ჩვენ ამ ქვეყნების შემოერთება, გვიხარიან ამ ბედისაგან დავიწყებული ჩვენგან მოშორებული თანამომმეების ხილვა...

ს. მ.

*) „დროება", № 50.

დღიური

⁂ მოგეხსენებათ, რომ ამ ორი-სამი წლის წინათ Კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ ამოარჩია თავის წევრებისაგან კომისია, რომელსაც უნდა გამოეკვლია Ლოჭინის სამეურნეო შკოლის მდგომარეობა. Კომისიამ დაწვრილებით გაიცნო ამ შკოლის საქმე და გადაწყვიტა, რომ Ლოჭინი ისეთი ადგილი არისო, სადაც არც სამაგალითო ფერმის გამართვა შეიძლება და არც ყმაწვილებს შეუძლიანთ იქ, ცუდის ჰავის გამო, ცხოვრებაო.

სამეურნეო საზოგადოებამ მიიღო მხედველობაში ამ კომისიის აზრი და იმის წინადადებას თანახმად გადაწყვიტა გაუქმება Ლოჭინში სამეურნეო შკოლისა და სადმე სხვაგან უფრო მოხერხებულ ალაგზე გადატანა.

მაგრამ ეს გადაწყვეტილება დღესაც არ არის ჯერ სისრულეში მოყვანილი. მხოლოთ გაზეთი „კავკაზი“ გვაცნობებს, რომ „მმართველობის განკარგულება არისო, რომ ლოჭინის სკოლა ამ მოკლე ხანში უნდა დაიკეტოს და თფილისის მახლობლად სადმე უნდა აარჩიონ ამ სკოლისათვის ადგილიო“.

*** ორა-სანუგეშო ამბებს გვწერენ ზორის უეზდის სასწავლებლის მდგომარეობაზედ. სხვათა შორის ამბობენ, რომ მთელი გასული ზამთრის განმავლობაში არცერთი ოთახი ამ სასწავლებლისა ერთხელად არ გათბობილაო, შაგირდები სიცივისაგან კანკალობდნენო და მასწავლებლები პალტოთი, კალოშებით და ქუდით ისხდნენ ხოლმე კლასშიო. ამას გარდა სასწავლებელს ფეხის-ალაგი არ მოეძევა თურმე. მასწავლებლები უგულოთ, უხალისოთ ეკიდებიან თავის მოვალეობასაო, ხან მოდიან, ხან არაო..

*** იმერეთიდამ გვწერენ, რომ ზოგიერთ ალაგებში ევნახებს რაღაც ახალი ავათმყოფობა გასჩენია, რომელიც უეცრად ახმობს ვაზსაო. როგორც ნიშნებს იწერებიან, ეს უნდა იყოს ის საშინელი ავათმყოფობა ვაზისა, რომელსაც „ფილოქერას“ ეძახიან. ბაზეთის „კავკაზის“ სიტყვით, ამისთანა ავათმყოფობა, სხვათა შორის, ფრანცუზის ლონგელის მამულსაც გასჩენია ჟუთაისის მახლობლად, და ამის გამოსაკვლევლად სახელმწიფო ქონების ბამგეობამ განსაკუთრებული კომისია გაგზავნა იმერეთშიო.

ერთი ავათმყოფობა (ნაკარი) ვაზისა თითქმის გადავარდა ჩვენში და ახლა ეს მეორე თუ გაგვიჩნდა, მეტი აღარა გვინდა-რა..

იმედი ვიქონიოთ, რომ კავკასიის საამეურნეო საზოგადოება, რომლის პირდა-პირ მოვალეობას შეადგენს, რომ ამგვარ შემთხვევაში ხელი მოუმართოს ჩვენს მემამულეებს, ჯეროვან ღონის-ძიების ხმარებას ურჩევს ხალხს, რომ ამ საშინელი ვაზის ავათმყოფობა თაიდამვე მოსპონ ან იმის გავრცელება შეაჩერონ მაინც..

*** ხვალ, 13 მარტს, ჩვენს ქალაქის რჩევაში, სხვათა შორის, შემდეგ საგნებზე იქნება მოლაპარაკება:

კომისიის მოხსენება ქალაქის სახლის გადაკეთებაზედ;

მოხსენება ბამგეობისა ქალაქისათვის პირუტყვის საკლავი სახლის გაკეთებაზედ და ამისთვის საჭირო ხარჯზედ;

წინადადება ხმოვანის ალადათოვისა ქალაქის აუზებზედ;

რევიზიის კომისიის მოხსენება 1876 წლის ქალაქის შემოსავალ-გასავალზედ და სხვ.

*** ამ უკანასკნელი ოთხი-ხუთი დღის განმავლობაში თითქო ისევ ზამთარი დაბრუნებას გვიპირებსო, ისეთი სიცივეები დადგა. უბედურები ეს არის, რომ ამ სიცივესთან ქარიც ჰქრის..

იმერეთიდამაც ამ გვარს ცუდს ტარობებს გვწერენ.

ამ ოთხი დღის წინათ იქ ხელ-ახლად თოვლი მოსულა, მაგრამ მალე გამდნარა. სურამისაკენ კი დღესაც ღრმა თოვლი სძევსო.

წერილი რედაქტორთან

უფალო რედაქტორ!

„დროების“ 31 ფურცელში დაბეჭდილი კორრესპონდენციაზედ (საგარეჯოდგან), რომელიც ივრის დამზოგველ აძხანაგობას შეეხებოდა, საჭიროთ ვრაცხავთ ორიოდე სიტყვა მოგახსენოთ, და გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულს გაზეთში.

1) ჩვენ, ივრის დამზოგველ აძხანაგობის გამგებელნი, ყველა საქმეს, რომელიც კი ექვემდებარება ჩვენს განხილვასა და გარდაწყვეტილებას, ვაჩვევთ საერთო მოლაპარაკებითა და მოფიქრებით და, თუ ერთმანერთში სადაო რაიმე საგანი გამოგვიჩნდა, იმას ესწყვეტავთ ხმის უმეტესობით. ყველა მოლაპარაკებისა და საქმის გადაწყვეტის ჟამს თვითეული ჩვენგანი ხელმძღვანელობს საკუთარი პიროვნობისა და თავის-მოყვარეობის ჩვენებით და არასოდეს რომელიმე წევრის გავლენით, გინდ ჩვენი პატივცემული თავმჯდომარეც იყოს, თუ მისი აზრი მართლა პატივსაცემი არ იქნება.

კორრესპონდენტს მოსჩვენებია მხოლოდ, რომ ჩვენ თავმჯდომარის ხათრით და მიდგომით რამე როდისმე გადაგვეწყვიტოს.

2) რაც მოქმედება დაგვიწყია, არცერთი მაგალითი არა ყოფილა ისეთი, რომ ჩვენთან ორი რიგი ღვინო მოეტანოსთ გასასინჯავად და ჩვენ მათგანი ერთ-ერთი გვეყიდნოს დეპოსათვის.

მაშასადამე უ. მ—ლისაგან თქმული, ვითომც ორ ღვინოში ერთი უარესი ავარჩიეთ და ფასი მეორეზედ,—უკეთესზედ—მაგრამ თავმჯდომარის ხათრის, თვის დაწუნებულზედ,—მეტი მიეეცით—უშვერი სიცრუეა.

3) არც ერთ გამგებელს არავითარიმე განხეთქილება არა აქვს დახლიდართან არც ამას რომელთანამე ჩვენგანთან; და თუ საჭიროება მოითხოვს ხოლმე, რომ ვაჭრობის წარმოების შესახებ რაიმე ლაპარაკი ვიქონიოთ დახლიდართან და ანუ იმან ჩვენთან—ამას უ. ს. მ.—შვილის ჭკვით თუ ქვიან „განხეთქილება“ და ისიც „საშინელი.“ საშინელი განხეთქილება რომ ჰქონდესთ ერთმანერთში „ზოგიერთ“ ჩვენგანს და დახლიდარს მაშინ ხომ ერთადაც ველარ იქნებოდნენ საქმეში. ერთის სიტყვით ესეც მოჭორებულია უ. ს. მ—შვილისაგან.

4) ყველა ჩვენგანს თავის საკუთარი საქმე ბევრი აქვს და უფრო სარგებლიანი, ვიდრე ჩვენი დახლიდრის ჯამაგირია (წელიწადში 240 მან. საკუთარი დახლიდრის ხარჯით). ამასთან ძალიან კარგად გვესმის, რომ ჩვენი ვაჭრობა რომელისაც თორმეტი კაცი თავს მეთვალყურედ—დახლიდარს ხელ-ბრუდობით ვერაფერს შეაწინააღმდეგებს; მეორეს, რომ, როგორც წესდების ძალითა გვაქვს მიღებული, ამხანაგობას დახლიდრის თავდებად მისგან გირაო ანუ სანდო-პირი უჭირავს ხელში. ამიტომ არც ერთ ჩვენგანს, რაც უნდა ბოროტი განზრახვაც ჰქონდეს, ხელს არ მისცემს დახლიდარად ყოფნა,—და „ზოგიერთი ჩვენგანის წადილი“ (დახლიდრის განდევნა და მისი ადგილის დაჭერა) მხოლოდ უ. ს. მ—შვილს მოსჩვენებია და არის სიცრუე.

5) უფ. ს. მ—შვილს არავითარი საბუთი არა აქვს და ვერც ერთი ჩვენი მოქმედებით ვერ დაგვიმტკიცებს იმას, ვითომც უმრავლესს ჩვენგანს, თუმცა ბეჯითობას არ აკლებს დეპოს, სახეში კი მხოლოდ კერძო სარგებლობა აქვს, და იმ დრომდისინ არმოაკლებს ამ ბეჯითობას, ვირე მის პირად სარგებლობას და მოთხოვნილებას დაკმაყოფილებს დეპო—ეხლა თუ არა, შემდეგ მაინცა; და თუ ეს იმედი გადაგვიწყდა, მაშინ ჩამოვეცლებით და ყველა სახით დავაკლებთ დეპოს მეცადინეობას.. ამ წინასწარმეტყველების მომასწავებელად უფ. მ—ლი ვერავითარ საბუთს ვერ წარმოგვიდგენს ჩვენ აწმყო მოქმედებიდგან. ამ ჟამად იმის მეტს ვერავინ რას იტყვის ჩვენზედ, რომ რაც შეგვიძლიან ვწირავთ ამ ახალს საქმეს ჩვენს შრომასა და ფულს *)—ხშირად ჩვენი საკუთარი საქმის საზარალოდ (ამას თავის ქებად ნუ მიიღებთ ჩვენგან—სიტყვამ მოიტანა და მოგახსენეთ). და ამის სანაცვალოდ ჩვენ არაფრის მოლოდინი არა გვაქვს მომავალში გარწმუნებთ და არც იმ ჯილდოსი, რომელიც წესდებით არის გადაჭრილი გამგებლებისა და ზედამხედველების შრომისათვის და რომელიც დასაყვედრებელი სულაც არ არის.

6) დასასრულ ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ უ. ს. მ—შვილი მხოლოდ ერთ ამ გამგებელს იცნობს და ერთსაც ზედამხედველსა,—თუ კარგად არა ცოტაოდნად მაინცა. ხოლო დანარჩენებში ის უმცირესს ისე იცნობს, რომ იმაზედ ჯეროვანი აზრის შედგენა ვერ შეუძლიან და უმრავლესს კიდევ ისე, რომ მარტო გვარები თუ გაუგონია იმათი. მაშასადამე სინათლე თუ სიბნელე იმათი მისთვის სრულებით გაუგებარია.

აგრეთე თვითონ საქმის წარმოებისა—თუ როგორ მიდის და რა გარემოებაები აქვს—იმდენი იცის იმან, და უფრო

---

*) თავიდამვე გარდაწყვეტილება გვაქვს დადგენილი, რომლის ძალით ყველა გამგებელი ვალდებული გავხდეთ, რომ დეპოს საჭიროებისათვის წასვლა-მოსვლაზედ საჭირო ხარჯს თვითონ გაუძღვეს თავის საკუთარი ჯიბიდგან და ამ გარდაწყვეტილებას ვასრულებთ საქმის დაწყობის დროდგანვე. ამასთან ისიც უნდა ვსთქვათ, რომ თითქმის ყოველი კვირა მოუხდება ხოლმე ჩვენგან ერთ-ერთს, ხან ორსაც თფილისს წასვლა და იქიდამ სავაჭროს მოტანა და ამ წასვლა-მოსვლაზედ და თფილისში ცხოვრებაზედ დახარჯულს ჩვენი ჯიბიდამ ვიხდით.

ნაკლებიც, რამდენიც ჩვენ ორლობეზედ გამვლელ-გამომვლელმა, და ამიტომ ჩვენს დეპოზედ და მის მაწარმოებლებზედ საერთო სჯა მისგან უფრო „უსვინიდისობად“ უნდა ჩაითვალოს, ვიდრე ის იქნებოდა „უსვინიდისობა“, როგორც თითონ ბრძანებს, რომ რაცა სთქვა, ისიც არ ეთქვა.

გამგეობი“ რჩევის თავსმჯდომარე ს. ჯაბადარი
ბლალოჩ. მღვდ. იოანე ბედიევი
წევრნი: დიმიტრი იოვანეს ძე ციციანოვი
მღვდელი ნიკოლოოზ დავიდოვი
ზაქარია გულისაშვილი
ზურაბ მაკანტალაშვილი
დ. ხლიდარი ალექსანდრე ონიკაშვილი
საქმის მწარმოებელი ა. ცხვედაძე.

უცხოე ქვეყნები

ავსტრო-ვენგრია

„Indép. Belge“-ში დაბეჭდილია ვენიდამ მიღებული კორრესპონდენცია, რომლიდამაც მოგვყავს შემდეგი ალაგები:

„მართალია, აქაურ სამხედრო სამინისტროში დიდი ფაცა-ფუცი და მზადება მაგრამ პოლიტიკური საქმის მცოდნე პირები დარწმუნებით ამბობენ, რომ რაც უნდა მოხდეს ავსტრო-ვენგრია რუსეთს ომს არ გამოუცხადებსო. ყველაზე უფრო აღელვებულები და რუსეთთან ომის დაწყების მსურველნი არიან ვენგრიელები; მაგრამ ნემეცებს კი სრულიადაც არ უნდათ, რომ ავსტრია ომში გაერიოს, ისინი ამბობენ, რომ დამარცხდება, თუ გაიმარჯვებს ომში ავსტრია, ორივე შემთხვევაში ჩვენ წაგებული ვიქნებითო: თუ გაიმარჯვებს, მაშინ სლავიანები გაძლიერდებიან და ჩვენ ჩაგვჩრდილევენ, და თუ დამარცხდა, მაშინ ყოველი ხარჯი და ზარალი ომისა ხომ კიდევ ჩვენ დაგვაწვება კისერზედაო.

„ამას გარდა ეშინიანთ კიდევ, რომ ავსტრია მომზადებული არ არის ომისათვის და ომი რომ გამოუცხადოს რუსეთს, სამ თვეზე ადრე ვერ გაიყვანს ბრძოლის ველზე იმდენ ჯარს, რომ თავის მოწინაამდეგესთან შებმა შეეძლოსო.“

საფრანგეთი

მოგეხსენებათ, რომ პირველ მაისს გაიხსნება პარიჟში მსოფლიო გამოფენა. ფრანცუზულს გაზეთებში იწერებიან, რომ შენობა, რომელსაცა ამ მსოფლიო გამოფენისათვის ამზადებენ მარსის მინდორზე, თითქმის სრულიად დამზადებული არისო, მხოლოთ შიგნიდამ აკლია მორთვაო.

ყველა სახელმწიფოები მიიღებენ ამ გამოფენაში მონაწილეობას; ყველადგან დიდ-ძალი გამოსაფენი საგნები არის პარიჟში მიზიდული. დღემდინ ამბობდნენ, რომ გერმანია არ აპირებს ამ გამოფენაში მონაწილეობის მიღებასაო; მაგრამ ახლა ნემეცურს გაზეთებში იწერებიან, რომ გერმანიას გადაუწყვეტია თავის გამოსაფენი საგნების, სხვა-და-სხვა ნაწარმოების გაგზავნაო.

ამ გამოფენის დროს იქნება ბევრ გვარი კონგრესსები; სხვათა შორის, განზრახვა არის, რომ ყველა ქვეყნების მწერლების კონგრესი უნდა შესდგეს, რომელშიაც მეცნიერნი, მწერლები და ჟურნალისტები მიიღებენ მონაწილეობას და რომელიც, როგორც ისმის, მწერლობის ნაწარმოების საკუთრებაზედ იქნება მოლაპარაკებაო.

ამბობენ, რომ ამ კონგრესსის თავსმჯდომარედ ამორჩეული იქნება ამ საუკუნის უდიდებულესი მწერალი ვიქტორ ჰიუკო.

რუმინია

რუმინიის მთავარს გაუგზავნია პეტერბურღში ელჩი თ. გიკა იმ განზრახვით, რომ ამ სამთავროს შესახებ მორიგების პირობებზე მოელაპარაკოს რუსის მმართებლობას; პირ-და-პირ რომ ვსთქვათ, თ. გიკას გაგზავნის მიზანი ის არის, რომ სთხოვოს რუსეთს ბესსარაბია არ წაართვას რუმინიასა.

მაგრამ ამ ელჩს შეატყობინეს თურმე, რომ პეტერბურღში ამ საგნის შესახებ იმასთან ლაპარაკს არ დაიწყებენ, რადგან ეს საქმე დ. მ. ნიკოლოოზ ნიკოლოოზის ძეს აქვ ეს მინდობილიო.

ნარევი

26-ს თებერვალს გამოვიდა პარიჟში ახალი გაზეთი „La Commune“; ეს გაზეთი დააფუძნა გამოჩენილმა საფრანგეთის რევოლიუციონერმა ფელიქს პიამ, რომელიც ლონდონში ცხოვრობს, რადგან 1870 წლის პარიჟის რევოლიუციის (კომმუნის) დროს გადაუწყვიტეს დახვრეტა, მაგრამ დაიხწია თავი და გაიქცა ლონდონში.

ამ გაზეთის პირველ ნომერში პირველ ფურცელზე დაბეჭდილია შემდეგი წერილი გარიბალდისა:

„საყვარელო პია! მთელი ქვეყნის დემოკრატებმა იპოვნეს თქვენში ერთი პატიოსანთაგანი მებრძოლე თავისუფლებისა.

„მებრძოლე შვილო თავისუფალის ხალხისავ, მე ვამაყობ თქვენის მეგობრობით და დიდებული პარიჟის ხალხის სიყვარულით, რომლის წარმომადგენელი თქვენა ხართ.

„საუკუნოთ თქვენი მოყვარული და პატივისმცემელი

კაპრერა. ჯუზეპპე გარიბალდი.

*
* *

მოგვყავს ერთ რუსულ გაზეთში დაბეჭდილი შემდეგი სიმახვილე, რომელიც ერთს მოხუცს კაცს წარმოუთქვამს პეტერბურღში:

— რაზედ ხართ, ბატონო, მაგრე ჩაფიქრებული? ჰკითხამს ახალგაზდა ქალი ამ მოხუცს, რომელიც სტუმრად მივიდა მასთან.

— ამ ჟამად, ქალბატონო, მე იმაზედ ვფიქრობ, რისგან არის, რომ ჩვენ, რუსები, ყველგან და ყოველთვის გამარჯვებული ვრჩებით იმ ადგილებში, რომლების სახელების ბოლოს არ არის სიტყვა „უმ“ (ჰკუა); მაგრამ საცა კი ჩართულია სიტყვა „უმ“, იქ კი სრულებით ვიკარგებით და ვერაფერს ვერ ვარიგებთ! უპასუხა მოხუცმა.

— არ მესმის რას ამბობთ, [illegible] და ქალმა, კარგათ ამიხსენით.

— ძნელი არ არის გასაგებათ. აი, მაგალითად, ჩვენ ავიღეთ ყარსი, სოფია, პლევნა, ადრიანოპოლი და როგორც მივადექით ბ ა თ უ მ ს, ს ო ხ უ მ ს, ე რ ზ რ უ მ ს სრულებით წავხდით. რატომ?—იმიტომ, რომ ამ ადგილების სახელებს ბოლოს სიტყვა „უმ“ აქვთ ჩართული...

*
* *

ფრანცუზ. გაზეთის „Figaro“ მახვილობა:

ერთს პარიჟის მცხოვრებს სახელათ დიუჩანს უნდა შეეტანა თავის შვილის განსათავისუფლებლათ სალდათობისგან 1,500 ფრანკის (500 მანეთამდინ) და სიმწარისაგინ წამოიძახა:

—აფსუს რომ ჩემი შვილი ქვრივი დედის შვილი არ არის! მაშინ იმას არ გაიყვანდნენ სალდათად და მეც არაფერს გადავიხდიდი...

თფილისის სამკურნალო

(4-ს აპრილის სახსოვრად)

ერევნის მაედანზე, წინამძღვაროვის სახლებში ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 8 საათიდამ დილისვე 10 საათამდინ.

ო რ შ ა ბ ა თ ს; ექიმი მინკევიჩი—ხირურგიულ ავათმყოფობისათვის, გარალევიჩი და ლიიცევი—შინაგანი ავათმყოფობისათვის.

ს ა მ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი და მაკაროვი—შინაგანი ავათმყოფობისათვის, თამამშევი—თვალის ექიმი.

ო თ ხ შ ა ბ თ ს: ლისიცევი—შინაგანი ავათმყოფ., ქიუჩარიანცი—ვენერიული ავათმყოფობისათვის,

ხ უ თ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი-შინაგან ავათმყოფობისათვის.

პ ა რ ა ს კ ე ვ ს: ლისიცევი და ასატუროვი—შინაგანი ავათმყოფობისათვის და —ხირურგიულისთვის.

შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი და მარკაროვი—შინაგანი ავათფმყოფი., ქიუჩარიანცი—ყურის და ხირურგიულ ავათმყოფობისათვის და თამამშევი—თვალის ავათმყოფობის.

ახალი ტაქსა გირჟის იზვოსჩიკებისა

ქალაქის რჩევამ მიიღო მხედველობაში ქირის და თივის სიძვირე და ამის გამო ამ პირველ ქრისტეშობისთვედამ დანიშნა შემდეგი დ რ ო ე ბ ი თ ი ტ ა ქ ს ა:

	ფაეტონის	დროჟკის
ერთი გზა	40 კაპ.	25 კაპ.
საათი	80 „	55 „
ქალაქიდამ—ნავთლუღს	80 „	50 „
— მუშტაიდამდინ —	60 „	45 „
— მუშტ. და უკან ½		
საათი გაჩერება	1 მან. 20 „	90 „
რკ. გზიდამ ნავთ.—	2 „ —	„ 1მან.50 „
—დამოქნამდინ—	1 „ 50	„ 1 „ — „
—ქალაქ. ყველგან	1 „ —	„ — „ 70 „
რკ. გზამდინ ქალაქ.—	„ 80	„ — „ 50 „
— ნავთლუღიდამ	1 „ 50	„ 1 „ — „
რკინის გზამდინ და უკან — — —	1 „ 30	„ — „ 90 „

შენიშვნა ა). ორ ფუთამდინ ბოგაჟისათვის იზვოსჩიკს არ შეუძლია, რომ რამე გამოართვასვისმე.

შენიშვნა ბ). ნაშუაღამევის ტაქსა იგივე დარჩება, რაც ახლა არის ე. ი. ფაიტონის—ერთი გზა—60 კაპ., საათის 1 მან. და 20 კაპ., დროჟკის—40 კაპ. და საათის—80 კაპ.

განცხადებანი

თფილისის ქალაქის გამგეობისაგან

ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამ მარტის 17-ს, იმის თანადასწრებით, დანიშნულია ვაჭრობა (მხოლოთ ერთელ) ნავთლუღში მდებარე ქალაქის მიწის (დაჩის) იჯარით მიცემაზედ მომავალის თვის აპრილის 1 რიცხვიდამ. ეს მამული საბალახე ადგილია და შეიცავს 194 დესიატინასა და 100 ოთხ-კუთხ საჟენს.

(3—1)

ქუთაისში ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში ისყიდება:

1) **დედა ენა**, ი. გოგებაშვილისა, ფასი 45
2) **ანუკა ბატონიშვილი**, ისტორიული მოთხრობა ზრ. რჩეულოვისა ფასი 20 კ.
3) **ცოლი ვიტირო, თუ ფული?** კომედია ალ. თუთაევისა, ფასი 30 კაპ.
4) **ვეფხვის ტყაოსანი**, შოთა რუსთველისა; ფასი 50 კაპ.
5) **მეფე ლირი**, დრამმა შექსპირისა, ფასი 60 კაპ.

და აგრეთვე სხვა ყოველგვარი ქართული და სახელმძღვანელო რუსული წიგნები კარტები, ატლასები, სურათები და სხვ.

(5—3)

თფილისის საადგილ-მამულო ბანკისაგან

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავმჯდომარე თფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ზედამხედველ კომიტეტისა, წესდების § 83-ის და ზედამხედველ კომიტეტისაგან 4 მარტს 1878 წელს დადგენილის გადაწყვეტილების ძალით, მოიწვევს უფალთ ბანკის დამაარსებლებს მე-IV ჩვეულებრივს საზოგადო კრებაზედ, რომელიც დანიშნულია ამ 1878 წლის 25 აპრილისათვის დილის 10 საათზე, ბანკის სადგომში.

განსახილველი საგნები:

1). განხილვა და დამტკიცება თფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის 1877 წლის შემოსავალ-გასავალი ანგარიშისა.

2). გადაწყვეტა იმ საყოველთაო სასარგებლო საჭიროებისა, რომლისთვის უნდა იქმნეს მოხმარებული ის 10,322 მანეთი და 61 კაპეიკი, რომელიც, წესდების § 90 ძალით, წლიური შემოსავლის 45%-დგან შესდგა.

3). აუცილებელ საჭიროებაზედ, რომ ზოგიერთი მუხლები თფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის წესდებისა (§§ 6, 12, 15, 18, 19, 20, 22, 28, 39, 50, 66 და 83)

4). განხილვა უძრავი მამულების დაფასების თაობაზე ინსტრუქციის პროექტისა.

5) ბანკის წესდების 68, 77, 78, 82, 83, 84, 87 და 88 მუხლების შეცვლაზედ, რომელიც, 16 მაისის 1876 წლის საზოგადო კრების გადაწყვეტილების თანახმად, წარდგენილნი იყვნენ ფინანსთ მინისტრთან დასამტკიცებლად.

6). ფინანსთ მინისტრის უარის თქმაზედ, რომ თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა ვალი პრიკაზიდამ თფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკში გადატანილ იქმნეს.

7). თფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის დამფასებლებზედ, წესდების § 64-ის თანახმად, იმ დამფასებელთ კომისიის წევრთა სამსახურის ვადაზედ, რომელნიც 1876 წლის საზოგადო კრებისაგან იყვნენ არჩეულნი.

8). აუცილებელ საჭიროებაზედ, რომ თფილისის თავად-აზნაურთა ბანკმაც მიიღოს მონაწილეობა რუსის საადგილ-მამულო კრედიტის წარმომადგენელთა კრებებზედ.

9) იმაზედ, რომ ბანკის დაამარსებელ-წევრებად მიღონ ის თავად-აზნაურნი, რომელთაც მიიღეს გლეხების განთავისუფლებისათვის ფული და რომელნიც მოისურვებენ, რომ საწილო ფული ერთად შემოიტანონ ბანკში.

10) ამორჩევა ზედამხედველ კომიტეტის სამის წევრისა, რომელთაც უნდა დაიჭირონ ადგილი: თ. რევაზ ანდრონიკოვის (სიკვდილის გამო), თ. კონსტანტინე ალექსანდრეს ძის ბებუთოვისა (უარი სთქვა) და გიორგი ნიკოლოზის ძის ყაზბეგისა (ქალაქში არ იმყოფება).

11) თ. ალექსანდრე ზაალის ძის ჩოლოყაშვილის მაგიერად, რომელიც წილით გამოდის ბანკის გამგეობიდამ, ახალი წევრის (დირექტორის) ამორჩევა.

12) ამორჩევა ბანკის დამფასებელისა, თ. ივანე ზაალის ძის ავალიშვილის მაგიერად, და აგრეთვე დამფასებლების ორი კანდიდატისა.

13) იმის თაობაზედ, რომ საყოველთაო-სასარგებლო საჭიროებისათვის დანიშნულ ფულებიდამ „ივერის დამზოგველთა ამხანაგობას" ბანკმა 2,000 მანეთი შეასესხოს.

(3—1)

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი .	9	21	5	18				
მცხეთა . . .	10	11	6	27	-	68	-	38
გორი . .	11	58	9	43	2	40	1	33
ხაშური . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი . . .	1	44			4	42	2	46
ყვირილა .	5	49			5	81	3	23
რიონი . . .	6	47			6	75	3	75
სამტრედია .	7	41			7	73	4	29
ახ.-სენაკი .	—	—			8	57	4	76
ფოთი . . .	9	40			9	75	5	42
ფოთი . .	9	13						
ახ.-სენაკი.	—	—			1	18	-	66
სამტრედია.	11	16			2	6	1	14
რიონი . .	12	13			3	4	1	69
ყვირილა. .	1	18	ღამე		3	98	2	21
სურამი. . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური . .	5	39	1	37	5	84	3	24
გორი . .	7	5	4	8	·	36	4	9
მცხეთა .	8	50	6	59	9	8	5	4
თფილისი .	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი	მ.	კაპ
ოცი სიტყვა თფილისიდამ:		
ქუთაისს, ფოთს . .	1	—
გორს, დუშეთს, სიღნაღს	-	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას . .	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში.	3	50
ინგლისში	3	75

ფოშტა

ა) თფილისიდამ: საზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და საზღვარ გარეთ:	კაპ.
ღია წიგნის	4
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	8

ბაზარდა	მან	კაპ
თფილისი, 10 მარტი.		
ფქვ. თეთ. ბანჯისა, ფთ.	1	50
ფქვილი წითელი . .	1	35
ქერი ფუთი . . .	1	30
ბამბა ერევნისა, ფუთი .	6	20
— ამერიკისა, ფუთი . .	7	50
გაპენტილი ბამბა ფუთი.	10	—
მატყლი თუშური ფთ.	8	20
—თარაქამისა ფთ. .	4	50
აბრეშუმი ნუხური სტ.	2	—
ქონი, ფუთი. . .	6	50
ქონის სანთელი ფუთი.	8	—
სტეარინის სანთელი, ფ.	13	40
ხორცი ძროხისა, ლიტ.	1	8
— ცხვრისა, ლიტრა .	1	8
სპირტი, გრადუსი .	—	13
შაქარი, გროც. ფუთი .	7	70
— ფხვნილი ფუთი . .	6	50
ყავა გრგვალი, გირვ. .	—	70
ზეთი ქუნჯუთისა ფუთ.	12	—
თამბაქო, საშუალო ფუთი	7	78

ბირჟა	მან.	კაპ
პეტერბურგი, 10 მარტს.		
ერთი მანეთი ღირს:		
ლონდონში 25 პენსი.	—	78
პარიჟში 267 სანტიმი.	—	62
ესკონტი (სარგებლისფასი)	7½	—
ბანკის ბილეთი 5%	95	50
მოგებიანი (პირველის ს.)	229	75
მოგებიან. (მეორე სესხი)	226	—
გირაოს ფურცლები:		
თფილ. საზნ. ბანკისა.	—	—
ხერსონის ბანკი	83	25
მოსკოვის . .	83	50
ოქრო ½ იმპერიალი. .	7	78
აქციები:		
ოდესის სავაჭრო ბანკის	177	—
ფოთი-თფილ. რკინ. გზის	—	—
შავი ზღვის ცეცხ. გემების	527	—
კავკაზის და მერკური .	225	—
პიროვ. სახლევ. სახ.	745	50
პეტერბ. სახლევ. სახ.	235	50
მოსკოვის სახლევ. სახ.	268	—

Дозволено цензурою Тифлисъ, 11 Марта 1878 г. Типографія Меликова. გამოცემული ს. მელიქიშვილი რედაქტორი ს მესხი.